ოქმი:**ო37. 3723171001**

თარიღი:**20/06/2023**

ოქმი N 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2023 წელი, 16 ივნისი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13 .30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და ტ. არუშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ბ. კილაძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. გოლიაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 36-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ დაიწყო სხდომის დღის წესრიგის წაკითხვა, რომლის გაცნობამდე საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ბ. ქათამაძემ და დ. მჟავანაძემ მათივე წევრის თ. ნიკოლაშვილის სატელევიზიო სიუჟეტის გამო გამართეს პოლემიკა უმრავლესობის წვრებთან, რასაც მოყვა ხმაური, 11.30 -საათზე სხდომა გადაიდო 30 წუთით. სხდომა განახლდა 12.00 საათზე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 34-მა საკრებულოს წევრმა, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის

დღის წესრიგი

14.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34 - ხმით

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 28 მარტს მომხდარმა სტიქიამ ხალხს დაუზიანა საცხოვრებელი სახლები, იყო დაპირება ზარალის ანაზღაურებაზე, მთავრობის მიერ გამოყოფილი 5 მილიონ 70 ათასი ლარის მიუხედავად მუნიციპალიტეტში რეალურად არაფერია გაკეთებული. თანამომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ეტაპობრივად ხდება ამ თანხით ტენდერების საშუალებით საამშენებლო მასალების შეძენა და დაზარალებული მოსახლეობისათვის გადაცემა. ფრაქციის წევრები არ დაკმაყოფილდნენ ამ განმარტებით და გააგრძელეს ხმაური.სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ჯერ სიტყვიერად, ხოლო შემდეგ ოქმში შეტანით გააფრთხილა ბ. ქათამაძე და დ. მჟავანაძე, რომ დაატოვებინებდა სხდომათა დარბაზს. ამავე ფრაქციის წევრმა თ. ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ დამატებით მობილიზებული თანხები ხმარდება არა მუნიციპალიტეტის სოციალურად შეჭივრებული ადამიანების პრობლემების გადაწყვეტას, არამედ კულტურას და სპორტს. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ეს თანხები გამოეყო სარაგბო კლუბ „არწივებს“ და საფეხბურთო კლუბ „მერცხალს“, რომელთაც წარმატებები აქვთ სპორტულ ასპარეზზე, რაც შეეხება სოციალური პრობლემების გადაჭრას, ამისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. ამავე ფრაქციის წევრმა ი. თუთბერიძემ განაცხადა, რომ სოციალური კუთხით გამოყოფილი თანხები მაინც არასაკმარისია. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ 530 ათასი ლარი(კაპიტალური ტრანსფერი) გამოყოფილია ქ. ოზურგეთში მრავალსართულიან ბინებში სამგზავრო და სატვირთო ლიფტების რეაბილიტაციისთვის. დადგენილება დამტკიცდა 33 -ხმით, 1-თ. ნიკოლაშვილი-წინააღმდეგი.

15.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

პაატა კიღურაძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34 - ხმით

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ მიესალმება ამ პროექტის განხორციელებას, მაგრამ უმჯობესი იქნება თუ გაამარტივებენ ინფრასტრუქტურული პროექტების წარმოდგენის პროცედურებს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისიის სხდომაზე მის მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება წესში ჩაწერილიყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები, რასაც კომისიებმა მხარი დაუჭირეს, თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე, როცა სოფლებსა და დაბებში ხორციელდება სოფლის მხარდამჭერი პროგრამები, მის ალტერნატივად ქ. ოზურგეთში გათვალისწინებულია „იყავი თანამმართველი“, ასევე ტექნიკურად პრობლემურია პროგრამის ამ სახით მთელს მუნიციპალიტეტში ჩატარება.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ მიესალმება ამ პროექტის განხორციელებას.

43.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“-სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით

4. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომის დახურვამდე მოძრაობა „ხალხის ძალის’ წარმომადგენელმა გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ ოზურგეთში ამჟამად იმდენი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება, რომელიც ათწლეულობით არ გაკეთებულა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა 70 მილიონ ლარს გადააჭარბა, როგორც ჩანს რადიკალურ ოპოზიციას არ მოსწონს ასეთი წინსვლა და მუდმივ საბოტაჟის რეჟიმში არიან. ლაპარაკობენ ამ ხელისუფლების მიერ აღებულ ვალებზე მაშინ, როცა რამდენიმე მილიარდი ლარი თავად ბიძინა ივანიშვილს აქვს დახარჯული ქვეყნის ისტორიული ძეგლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტირებისათვის.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბ. ქათამაძემ განაცხადა ქ. ოზურგეთში ცენტრალური გზების რებილიტაციის აუცილებლობაზე, რომელიც დღესაც მოუგვარებელია.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი